



№1გ/1534-16



## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით  
საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

29 სექტემბერი 2016 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე  
გიორგი გოგინაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე რომან ხორავას 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინებაზე, სს „ს. ბ.-ს“ იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე შ. დ.-ს საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის წარმომებშია სისხლის სამართლის N074201212801 საქმე საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმის მასალების მიხედვით 2016 წლის 21 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსმა პროკურორმა ზინკო ქობალიამ და ითხოვა ყადაღა დადებოდა სს „ს. ბ.-ს“ საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებებს: 1) ქ. თ. მ.-ს გამზირი NXX-ში მდებარე 2 662 კვ/მ მიწის ნაკვეთს; მეტალის მოდული სასარგებლო ფართით 1 083.36 კვ.მ (ს/კ XX.XX.XX.XXX.XXX); 2) ქ. თ., მ.-ს გამზირი NXX-ში მდებარე 6 440 კვ/მ მიწის ნაკვეთს; შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 2 021.01 კვ/მ (ს/კ XX.XX.XX.XXX.XXX); 3) ქ. თ., ი. ჭ.-ს მე-X ჩიხის NX-ში, მე-X სართულზე მდებარე ბინა NXX-ს- 123 კვ.მ (ს/კ XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX); 4) ქ. ქ.-ში შ.-ს ქუჩის პირველი შესახვევი NXX-ში მდებარე 10 466.5 კვ.მ მიწის ნაკვეთს, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 78.15 კვ.მ (ნაკვეთის წინა ს/კ XX.XX.XX.XXX, ამჟამინდელი ს/კ XX.XX.XX.XXX).

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე რომან ხორავას 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინებით პროკურორის



შუამდგომლობა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო პროკურორის მიერ შუამდგომლობაში აღნიშნულ ქონებას.

განჩინებაში პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არსებობს საკმარისი მონაცემები ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობის სახით, რაც ასაბუთებს ქონებაზე ყადაღის დადების აუცილებლობას. შესაბამისად, იმისათვის რომ არ მოხდეს ქონების გასხვისება ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფის მიზნით, სასამართლომ აუცილებლად მიიჩნია ზემოაღნიშნულ ქონებაზე ყადაღის დადება.

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა სს „ს. ბ.-ს“ იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ შ. დ.-მ, საჩივრის ავტორი ითხოვს ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე რომან ხორავას 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინების გაუქმებას.

საჩივრის ავტორი საქართველოს სსსკ-ის 151-ე მუხლზე მითითებით განმარტავს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე არ არსებობს ბრალდებული პირი, ამდენად არ არსებობს ბრალდებულის მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი ან/და მასთან დაკავშირებული პირი, შესაბამისად პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება სს „ს. ბ.-ს“ დასახელებულ ქონებებზე ყადაღის დადების თაობაზე არის უკანონო და უნდა გაუქმდეს, ვინაიდან ყადაღადადებული უძრავი ქონებები სს „ს. ბ.-ს“ შემენილი აქვს კანონიერად, რაც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებით. ამასთან საჩივრის ავტორი მიუთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების დადგენილებითი ნაწილის მეოთხე პუნქტზე სადაც აღნიშნულია, რომ განჩინება მოქმედებს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტამდე, ან განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე და განმარტავს, რომ ვინაიდან მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ბრალდებული პირი, შესაძლებელია გამოძიება გაიწელოს ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე რაც სს „ს. ბ.-ს“, როგორც ამ ქონების კეთილსინდისიერ მესაკუთრეს აყენებს მნიშვნელოვან ზიანს. (იხ: საჩივარი)

საქმის მასალების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი შემოტანილია უფლებამოსილი პირების მიერ კანონით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები და თავად საჩივარი იძლევა მასში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა. შესაბამისად, საგამომიებო კოლეგიამ განიხილა რა საჩივარი და წარმოდგენილი მასალები მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის



საფუძველზე ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამაღავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.

ამდენად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სხვა საფუძველზეთან ერთად, ითვალისწინებს ყადაღის დადებას ქონებაზე, სსსკ-ის 151-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით სასამართლოს ასევე შეუძლია ყადაღა დაადოს ქონებას, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ამ ქონების მიმართ ჩადენილია დანაშაული ან/და იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. ე.ი ყადაღა შეიძლება დაედოს ნებისმიერი პირის იმ ქონებას, რომლის მიმართაც შესაძლოა ჩადენილია დანაშაული, მიუხედავად ამ ქონების მესაკუთრისა და მფლობელის საპროცესო სტატუსისა, ანუ სსსკ-ის 151-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით აუცილებელი არაა, რომ ქონების მესაკუთრე ან მფლობელი იყოს ბრალდებული, გადამწყვეტია არა ქონების მესაკუთრის ან მფლობელის სტატუსი, არამედ დასაბუთებული ვარაუდის საკმაო მონაცემების, გონივრული ეჭვის არსებობა, რომ ეს ქონება მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით ან ქონების მიმართ ჩადენილია დანაშაული. აღნიშნულზე უნდა არსებობდეს საკმარისი მონაცემები, ხოლო საკმარისი მონაცემების არსებობა შინაარსობრივად უთანაბრდება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. ამდენად, გამოძიების ეტაპზე ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელებისას, მათ შორის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინების გაცემისას, სასამართლო ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, რომელიც მტკიცების უფრო მაღალი სტანდარტისაგან განსხვავებით, არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით, დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, აღნიშნული საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობაში. ზემოაღნიშნულ გარემოებათა ერთობლიობით სასამართლოს მიაჩნია, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები იმასთან დაკავშირებით რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე არ არსებობს ბრალდებული პირი და შესაბამისად არ არსებობს არც ბრალდებულის მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი ან/და მასთან დაკავშირებული პირი გავლენას არ ახდენს ყადაღის დადების შესახებ განჩინების კანონიერებაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, საგამოძიებო კოლეგია იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა ასაბუთებენ ქონებაზე ყადაღის დადების აუცილებლობას, რადგან არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ შუამდგომლობაში მითითებული ქონება მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით. აღნიშნულ ინფორმაციას ქონების უკანონო გზით მოპოვების შესახებ უთითებენ სს საქმეში წარმოდგენილი წერილობითი ხასიათის დოკუმენტები და საქმეზე მოწმის სახით დაკითხული პირები, რომლებიც კონკრეტულად უთითებენ საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ ასეთ შემთხვევაში, ყადაღა უნდა დადებოდა სს „ს. ბ.-ს“ კუთვნილ შემდეგ უძრავ ქონებებს: 1) ქ. თ. მ.-ს გამზირი NXX-ში მდებარე 2 662 კვ/მ მიწის ნაკვეთს; მეტალის მოდული სასარგებლო ფართით 1 083.36 კვ.მ (ს/ვ XX.XX.XX.XXX.XXX); 2) ქ. თ., მ.-ს გამზირი NXX-ში მდებარე 6 440 კვ/მ მიწის ნაკვეთს; შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 2 021.01 კვ/მ (ს/ვ XX.XX.XX.XXX.XXX); 3) ქ. თ., ი. ჯ.-ს მე-X ჩიხის NX-ში, მე-X სართულზე მდებარე ბინა NXX-ს- 123 კვ.მ (ს/ვ XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX); 4) ქ. ქ.-ში შ.-ს ქუჩის პირველი



შესახვევი NXX-ში მდებარე 10 466.5 კვ.მ მიწის ნაკვეთს, შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 78.15 კვ.მ (ნაკვეთის წინა ს/კ XX.XX.XX.XXX, ამჟამინდელი ს/კ XX.XX.XX.XXX).

საგამოძიებო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ სს „ს. ბ.“ წარმოადგენს ყადაღადადებული ქონებების კეთილსინდისიერ შემძენს, რადგან აღნიშნული გარემოებები სრულად არ გამომდინარეობს მოპოვებული მტკიცებულებებიდან და საჩივრის ავტორის მიერ განცხადებული ფაქტები წინააღმდეგობაში მოდის გამოძიების მიერ დადგენილ ფაქტებთან. ყურადღების გაერშე ვერ იქნება დატოვებული ის გარემოება, რომ დღეის მდგომარეობით მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს ქონებრივი უფლების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, გამოძიების მიზანია შეაგროვოს დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებები, დააზუსტოს შესაძლო დანაშაულის კვალიფიკაცია, ასევე გაატაროს პრევენციული ზომები მიმდინარე შესაძლო დანაშაულის აღსაკვეთად. საგამოძიებო კოლეგია დაეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელმაც განმარტა, რომ ხსენებული ქონების მიმართ შესაძლოა ჩადენილია დანაშაული ან/და იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. ხოლო, იმისათვის, რომ არ მოხდეს ამ ქონების გასხვისება, აუცილებელია დროებით შემზღვეველი ღონისძიების გამოყენება, ვინაიდან სასამართლოში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე არსებობს აღნიშნული ქონების გასხვისების რეალური რისკი, რომლითაც ხელი შეეშლება გამოძიებას და ვერ იქნება უზრუნველყოფილი შემდგომში დაინტერესებულ პირთა კანონიერი ინტერესები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ სს „ს. ბ.-ს“ იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე შ. დ.-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

აქვე, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ ქონებაზე ყადაღის დადება, როგორც დროებითი ღონისძიება, გამოიყენება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად, რომლის გათვალისწინებითაც იგი შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დაცულ საკუთრების უფლებას.

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-152-ე, 156-158-ე, 207-ე მუხლებით და

### დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. სს „ს. ბ.-ს“ იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე შ. დ.-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე რ. ხ.-ს 2016 წლის 22 სექტემბრის განჩინება, სს „ს. ბ.-ს“ კუთვნილ შემდეგ უძრავ ქონებებზე ყადაღის დადების შესახებ.



3. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;

4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე  
გიორგი გოგინაშვილი